შრომა

სურათებიანი დამატება

დამატების № 1. | კვირა, 2 აპრილი, 1906 წ. | გაზეთის № 1.

ახალი ნანა

იავნანა, ვარდო ნანა,
იავნანინაო,
კარგად ვიცი, ჩემო კარგო,
ვინც შეგაშინაო!

—

გულ-ქვა მტრების მათრახებმა
ჩვენ დაგვაფრთხინაო,
ტყეში თოვლზე გირწევ აკვანს,
იავნანინაო!

—

იავნანა, ვარდო ნანა,
იავნანინაო,
რა გაჭამო, ჩემო მტრედო,
ძუძუ დამიდნაო!

—

რაც გვებადა, მათ წაიღეს,
აგვიკლეს ბინაო,
უსახლკაროდ დავრჩით, შვილო,
იავნანინაო!

—

იავნანა, ვარდო ნანა,
იავნანინაო,
მამა შენსა მათრახებმა
სისხლი ადინაო!

—

თოკით შეჰკრეს და შებოჭეს,
იავნანინაო,
ჯაშუშს ვერსად დაემალა,
ბევრიც ირბინაო!

—

იავნანა, ვარდო ნანა,
იავნანინაო,
შენმა უფროსმა ძმამ ხმლის ქვეშ
ამოიგმინაო!

—

უფროსი და... რაღა გითხრა...
იავნანინაო,
შენც გული გადმოგიბრუნდა,
არ დაგეძინაო!

—

აღარ არის, შვილო, ჩვენი
საწყალი კერაო,
გულქვა მტერმა მოგვარგუნა
ეს ბედის წერაო!

—

სად გაგათბო, რა გიშველო?
შენ გენაცვალეო,
ჯერ ტკბილი არ გიგემია,
მწარე დალიეო!

—

იავნანა, ვარდო ნანა,
იავნანინაო,
უყურე ჩემსა ცრემლებსა,
თოვლზე დაიბნაო!

—

იავნანა, ანგელოზო
და თმა ხუჭუჭაო,
ახლა კიდევ ფულებს გვთხოვენ,
აგვივსეთ მუჭაო!

—

ხარჯი უნდა გადვიხადოთ
მთის და ბარისაო,
თუმც გაგვხადეს მეზობელი
ტყის ნადირისაო!

—

მაშ გავყიდოთ, შვილო, შენი
მჩვრები, აკვანიო,
გავისტუმროთ ხარჯი-ბორჯი
მღვდელ-დიაკვანიო.

—

თუ არა და ჩვენი სახლი
მათთვის მზად არიო,
დაიხსომე, ჩემო შვილო,
ეს გლოვის ზარიო!

—

იავნანა, ვარდო ნანა,
იავნანინაო,
როცა, შვილო, გაიზარდო
მოძებნე ბინაო!

—

მის ნაფერფლზე მედიდურად
ტურფა დარბაზიო
იქ იდგმება ამაყურად
კოხტა ლამაზიო!

—

მას ვერავინ ხელს ვერ ახლებს
მდიდარს ეკუთვნისო,
მხოლოდ ჩვენი ქოხი იყო
ღირსი წიხლის კვრისო!

—

მანამდე კი იავნანა,
ვარდო ნანინაო,
როგორც მხეცებს, ჩემო კარგო,
ტყეში გვაქვს ბინაო!

—

იავნანა, ვარდო ნანა,
დაგვძახის ქარიო,
მრწამს, რომ, შვილო, დაიქროლებს
ხვალ სხვა ნიავიო.

—

ის იქნება განთიადის
წინა მორბედიო,
ჩვენ ტანჯულთაც გაგვიღიმებს
ერთხელ სხვა ბედიო!

—

იავნანა, ვარდო ნანა,
იავნანინაო,
დაიხსომე, შვილო, მტერმა
აგვიკლო ბინაო!

ი. ევდოშვილი.

სიმღერა

კიდევაც ვნახავ გაზაფხულს
ყელ-მოღერებულს იასა,
სიკვდილის სიცოცხლედ მქცეველს,
იმის სიტურფეს ღვთიანსა.
ამწვანებულსა მთა-ბარსა
დამწყაზრულს, ყვავილიანსა.

—

კიდევაც ვნახავ ცა სჭექდეს,
თოვლის წილ წვიმა ცვიოდეს,
ანოყივრებდეს მიწასა,
მდინარეები ხვიოდეს.
აღარ ვინ იტანჯებოდეს
და აღარც ვისმე ჰშიოდეს.
სიმართლის გამარჯვებასა
მთაზე არწივი კიოდეს.
მეც მას ბანს ვეუბნებოდე,
გული აღარა მტკიოდეს.

—

გუშინ წინ ვნახე, გუშინაც
გველი სწამლავდა იასა,
აშლიდა შხამსა და გესლსა
ვერ კი აძლევდა ზიანსა.
დღეს ვხედავ ია მთელია
სუნნელოვანი, ნაზია,—
უცქერ და ვამბობ იმასვე:
რა ტურფა, რა ლამაზია;
გველი დაღოღავს მუცლითა,—
არჩობს ბოღმა და ბრაზია!

—

კიდევაც ვნახავ უხვადა
ვარდნი, იანი ჰყვაოდენ
ნაცარ-მტვრად იყვნენ ქცეულნი,
ვინაც გუშინა ზვაობდენ,
შხამის და გესლის მთესველნი
მოისპნენ, არარაობდენ,
ჩვენის სიკვდილის მსურველნი
ყორნები ვეღარ ჩხაოდენ!

—

დაჰბეროს სიცოცხლის სიომ
მომაკვდავს არე-მარესა,
გაუათასდეს სინათლე
ცაზე მზესა და მთვარესა,
უხვადა სძღვნიდენ წყალობას
ამ ჩვენს დაჩაგრულს მხარესა,
ჩვენც მსხვერპლნი ძალ-მომრეობის
ცრემლს აღარ ვღვრიდეთ მწარესა,
ჩიტების ტკბილი გალობა
ისმოდეს ყოველ მხარესა.

—

ვიხილავ სანატრელს სახეს,
რომ ამდგარიყოს მკვდრეთითა
გვერდს ედგნენ მისნი ზვარაკნი,
გაფიცულები გვერდითა,
ჭაბუკნი, თავ-დადებულნი
ტრფიალის მეტის-მეტითა.—

ეროვნული ბიბლიოთეკა

შარლოტა კორდე.—ეშაფოტზე მიჰყავთ.

დედა

(თარგმანი რუსულიდან)

იმისი ერთად-ერთი შვილი, დილით წასული, ჯერ კიდევ არ დაბრუნებულა. აგერ სამი დღეა, რაც ამგვარად სახლიდან მიდის, მაგრამ ყოველ საღამოს ისევ ბრუნდება. ეხლა კი 12 საათი შესრულდა, მაგრამ არსადა სჩანს.

დედა ზის მარტო ძველებურ ღრმა სავარძელში და გულის ძგერით თვალ-ყურს ადევნებს, რომ გაიგონოს კარზე რაკუნი ან ზარის წკრიალი.

ქუჩებში სიწყნარეა. სროლა შეჩერდა, მაგრამ ყურში ისევ გაისმის ზარბაზნების გრიალი და ტყვიის ზუზუნი. დედა ყველაფრს შეეჩვია. ადვილად იტანს სროლის ხმას მას შემდეგ, რაც შვილმა დაიწყო ყოველ დილით სახლიდან გასვლა და მხოლოდ საღამოთი დაბრუნება. ყოველთვის ჯანმრთელი ბრუნდებოდა სახლში, თუმცა ცოტას დაღლილობას გრძნობდა.

დღეს დედა ვერ ისვენებდა. არ ახსოვს, რომ შვილს ასე დაეგვიანებინოს. დედას ჩვეულებად ჰქონდა მოსვენების წინ დაეკოცნა შვილი და მზრუნველი თვალი გაეყოლებინა ოთახში. ეხლა დედა იჯდა თბილ, ლაზათიანად მორთულ ოთახში და მოუთმენლად ელოდა დაბრუნებას საყვარელ შვილისას, რომელიც, ჩვეულებისამებრ, უამბობდა მთელი დღის თავგადასავალს. დედა მთლად გაეტაცა შვილზე ფიქრმა.

საყვარელ ქმრის სიკვდილის შემდეგ მარტოდ-მარტო დარჩა პატარა ბავშვით ხელში. იმას შესწირა მთელი თავისი სიცოცხლე, მთელი თავისი სული და გული. შვილისთვის დედაც იყო და საუკეთესო მეგობარიც. მან მისცა შვილს სრული თავისუფლება განვითარების საქმეში. არ აწუხებდა, არ ავიწროვებდა, წინ არ ეღობებოდა იმის მისწრაფებას. იგი არ შეშინდა, როდესაც ერთად-ერთი შვილი ნამდვილ მებრძოლთა რაზმში დაინახა და აზრადაც არ მოსვლია, დაეშალა ამ წმინდა მოვალეობის შესრულება. დიდად კმაყოფილი და გახარებული იყო იმის წარმოდგენით, რომ პატიოსანი მებრძოლი გაზარდა ხალხისთვის. შვილში სცნობდა თავის ულოდოდ დაკარგულ ქმარს, რომელმაც მთელი სიცოცხლე ციხეებში დალია. როდესაც გაისმა ხმა მოწოდებისა, როდესაც მოითხოვეს, სიცოცხლე შეეწირათ დიად საქმისთვის, მან დალოცა შვილი და ერთ წამსაც არ გაჩერა. თუმც ყოველ დაშორებაზე გული რაღაცას სწუხდა, გონება საშინელ სურათებს უხატავდა, და აშინებდა, რომ ეს ნახვა უკანასკნელი იყო, მაგრამ იგი მაინც არასოდეს არ ნანობდა, რომ ასე აღზარდა შვილი, სცდილობდა გამაგრებულიკო და თავს იმითი ინუგეშებდა, რომ ისევ მალე დაბრუნდებაო. ისიც მართლაც ბრუნდებოდა და აღტაცებით უამბობდა მთელი დღის ამბებს. ყველაფერს ივიწყებდა დედა, როდესაც შვილი აღფრთოვანებული, ახალგაზდურის ცეცხლით და აღგზნებულის თვალებით უამბობდა ამხანაგების თავდადებულ სიმამაცეზე. დედა ყოველთვის თავიდან იცილებდა იმ აზრს, რომ შეიძლება სამუდამოდ დაეკარგა შვილი.

წინად ადვილად აწყობდა საქმეს ამ აზრთან, მაგრამ დღეს ეს აზრი არა შორდებოდა, სტანჯავდა, დედის გრძნობათან და თან იღვიძებდა და ავიწყებდა ყველაფერს. შვილზე ფიქრებით გატაცებულმა ვერ შეიტყო, რომ დრო წასულიყო. როდესაც საათმა დაჰკრა, უცებ წამოდგა სავარძლიდან. იმ აზრმა, რომ შვილი ჯერ კიდევ არ დაბრუნებულა, დაუპირისპირა საშინელი სინამდვილე. ძვირფას არსების საშიშმდგომარეობამ მთლად დაიპყრო დედის გული. სხვას აღარაფერს გრძნობდა.

არ მოვიდა, აშკარაა, არ შეეძლო მოსვლა. ამ მოსაზრების შემდეგ, მისი გონება ვერა ბედავდა საშინელ სურათის წარმოდგენას. უნდოდა ჩაედინა რამ, გადაეწყვიტა, ლოდინის ძალა აღარ შესწევდა. უნდა წავიდეს, უნდა ეძიოს. უცებ მოიფიქრა, საჩქაროდ ჩაიცვა, გავიდა გარედ. კარი გარედან ჩაკეტა და ქუჩაში გაჩნდა.

საფრანგეთის დედოფალი მარია-ანტუანეტა ეშაფოტზე მიჰყავთ.

ისევ ბნელოდა. ღილის სუსხი ძვალსა და რბილში გადიოდა. დედა სიცივით კანკალებდა. მან გასწია მარჯვნივ, დაახლოებით იცოდა, სადაც უნდა ყოფილიყო იმისი შვილი. საჩქაროდ გაიარა ერთი ქუჩა და მარცხნივ შეუხვია. მის წინ, მახლობლად, ნახევრად ბნელაში ამართულიყო ბარიკადა. ხალხი არსად სჩანდა. ორი-სამი საეენის მანძილზე დედა უეცრად შეაჩერა ვიღაცის ხმამ: „ვინ არისო“. იმის წინ გაჩნდა უცნობი რევოლვერით ხელში. დედამ უთხრა პაროლი, რომელიც შვილისაგან ჰქონდა ნასწავლი და გასცილდა ბარიკადას. მეორე ადგილს აქა-იქ კაცები ჩასაფრებულიყვნენ. ზოგი ეტლის ბორბლების შუა ამოფარებულყო, ზოგი ფიცრებზე იჯდა, ზოგი-უჯრებზე და ზოგიც თავის ტომრებზე. ზოგს არ ეძინა და წყნარად მუსაიფობდნენ.

დედა თამამად მიუახლოვდა და ჰკითხა, სად იყო მისი შვილი. აქ არ იცნობდნენ იმის შვილს. უთხრეს, მეორე ბარიკადაზე წასულიყო. შეუდგა გზას, თან სიბნელეში ყველაფერს უკვირდებოდა.

ინათლა. შორიდან სროლა ისმოდა. ჯერ სიარულს მოუჩქარა, მალე სროლა გახშირდა. ხმა ძრიელ გარკვევით ისმოდა. ისროდნენ ძლიერ ახლოს. უეცრად მოესმა სიმღერა. ხორო გალობდა: „თქვენ მსხვერპლები ხართ საშინელ ბრძოლის“, სიმღერას ბანს აძლევდა ცეცხლ ქუხილის მგზავსი ტყვიის ზუზუნი. ამისდამიუხედავად სიმღერა განუწყვეტლივ ისმოდა. რაც უფრო ძლიერდებოდა ბრძოლა, მით უფრო მკაფიოდ ისმოდა სიმღერა. რაღაც დიდებული და თან საშინელი იყო სროლასთან შეერთებული სიმღერები.

დედა გაიქცა, რომ მიესწრო მე 14 ბარიკადისათვის. გზაში შეხვდა რამდენიმე კაცს. ესენი თოფებით და რევოლვერებით სადღაც მიეშურებოდნენ. სროლა ეხლა ყოველ მხრიდან ისმოდა. ისროდნენ უკანიდან, გვერდებიდან და წინიდან.

სადღაც დაიგრიალეს ზარბაზნებმა. აგერ ცეცხლის ზოლივით თავზე გაურბინა რაღაცა მანქანამ და დავარდა მიწაზე ცეცხლის წვიმის მზგავსად. აგერ კიდევ გაისროლეს, კიდევ, ძალიან ახლოს. გასქდა რაღაცა და შეაყარა მომავალ ხალხს; ორი თუ სამი კაცი მიწაზე დაეშო, როგორც ძირში მოჭრილი ხე. ბევრი გაიქცა. ცივს ჰაერში დაჭრილების კვნესა გაისმა. ახლო-მახლო სახლებიდან გამოვიდნენ სანიტარები წითელის ჯვრით მკლავებზე და დაიწყეს დაჭრილთა აყვანა. დედას დაავიწყდა თავისი საშიში მდგომარეობა, აღარ ესმოდა კვნესა-გმინვა, გარშემო ველარას ხედავდა. მთელის არსებითი შვილზე ფიქრს მისცემოდა. სწრაფად გაირბინა უკანასკნელი ალაგი და სირბილით მივიდა მე 14 ბარიკადასთან, აქ აღარავის აღარ ეძინა. ყველა თავის ადგილზე იდგა. დედამ გაიარა პირველი ადგილები და ნაცნობთა შორის გაჩნდა. ყველა იმის შვილის ამხანაგი იყო. ყველანი იცნო. ესენი მათ სახლში დაიარებოდნენ, თითეულის სახელიც-კი იცოდა. ისიც დაინახეს, იცნეს, მაგრამ ყველამ მოარიდა თვალი, არც ერთი მასთან არ მივიდა, თითქოს ვერ ამჩნევდნენ, ისე იყვნენ გართულნი სამქმით. დედა მიუახლოვდა მაღალ, შავი ბოხოხიან ყმაწვილს და ნელის ხმით ჰკითხა:

— რადომსკი, სად არის ვალოდია? სად არის ჩემი შვილი? დღეს სახლში არ მოსულა, არც ღამე გაუთევია.

დედამ შეხედა რადომსკის. განთიადის სინათლეზე იმის ღრმა, დაღონებულ თვალებში ცრემლები დაინახა.

— დაიჭრა?—ჩუმად ჰკითხა დედამ. შიშით მეტის კითხვა ვერ გაბედა.

ყმაწვილი ისევ ისე სდუმდა.

— მაშ მოჰკლეს... მოჰკლეს? ღვთის გულისათვის, სთქვით! სთქვით!...—კიდევ უფრო ჩუმად წაილულღლუღა.

— როგორც გმირი... ყველაზე წინ, გუშინ, უკანასკნელ შეტაკების დროს...—სთქვა რადომსიკიმ და თავი ჩაღუნა.

ის იყო ვალოდიას მეგობარი ბავშვობიდანვე. მეგობრული კავშირი სკოლიდან იყო მათ შორის.

— სად არის? მაჩვენეთ, სად არის?

— აქ არის... დაჭრილებთან არ მიგვიტანია. ვფიქრობდით პირდპირ თქვენთან მოგვესვენებინა, მაგრამ არ შეიძლებოდა. აი, ისიც...

რადომსკი შევიდა ბარიკადის სიღრმეში, გადახადა ნაბადი რაღაცას თავზე, რკინის ღობის ქვეშ. დედა ჩუმად, უხმოდ და უცრემლოდ დაეშვა ძვირფასს გვამის წინაშე. აუწია თავი, დაუსვა ხელი შავ-ხუქუჭა თმებს და დაუწყო დახუჭულ თვალებს კოცნა. ყველა მოშორდა, რომ მარტო დაეტოვებინათ შვილის ცხედართან. დედის თვალებში ცრემლი არ იყო. მეტად დიდი იყო ის უბედურება, რომელიც ეწვია, იმდენად დიდი, რომ თვითონაც ვერ შეეგნო მთელი სიღრმე და სიმძიმე ამ საშინელ მწუხარებისა. თითქოს ცოცხალი ყოფილიყო მისი შვილი, სიყვარულით ებაასებოდა, გამოყრილ ტუჩებით რაღაცას ეჩურჩულებოდა. დედისთვის ის კიდევ ცოცხალი იყო.

დიდხანს იჯდა შვილთან. უეცრად იმის ახლოს თოფი გავარდა, ერთხელ, ორჯელ. პასუხად მოისმო თოფების გრიალი ბარიკადებიდგან. გამოცვივდა ნამტვრევები რკინისა, ხისა, მაგრამ დედას არასფერი არ დაუნახავს და არც გაუგონია. ირგვლივ ხალხი დადიოდა და ხმაურობდა, ისმოდა რაზმის უმფროსის ბრძანება, ტყვიას ზუზუნი გაჰქონდა, ის კი არა შორდებოდა შვილის გვამს და თავზე ხელს უსვამდა.

ამ დროს მიუახლოვდა შვილის ამხანაგები.

— ეხლა საშიშია აქ გაჩერება. ხომ გეტმით სროლა? მალე ახლო მოხდება შეტაკება. წადით აქედან, ჩქარა წადით სახლში.

— სახლში?—დედა ფეხზე წამოდგა.—სახლში? რა უნდა გავაკეთო იქ უამისოდ? მერე სად არის ჩემი სახლი? იქ სადაც ჩემი ვალოდია... ის კი აქ არის და მეც ვერ წავალ აქედან... თქვენ არა გაქვთ უფლება, აქედან დამითხოვოთ. თუ შევიძელი თქვენთვის ასეთი შვილის მოცემა, ისიც შემიძლია, რომ იმის მაგიერობა გაგიწიოთ, ეხლა მეც თქვენთანა ვარ, ვასრულებ იმის მოვალეობას, ჩემთვის ნუ შიშობთ. მე არ შემეშინდება, არ მეშინია სიკვდილისა, კმარა! იქ,—ქალმა უჩვენა ბარიკადას სიღრმეზე,—ღედა ვიყავ, აქ კი თქვენი ამხანაგი ვარ...

ხელი გაიწოდა, ვიღაცამ რევოლვერი გადასცა.

როდესაც სალდათები დაეცნენ ბარიკადას, რომელიც დიდხანს არ ნებდებოდა, განცვიფრებულნი მიაშტერდნენ წითელ დროშის ქვეშ ხანში შესულ ქალს, რომელსაც ჭაღარა თმა მხრებზე გადაშლოდა და რევოლვერით ხელში მაღალისა და დამშვიდებულის ხმით ბრძანებას აძლევდა ირგვლივ მდგომ მებრძოლ ხალხს.

გაგინი

---

* * *

ნისლმა რისხვით ფრთა გაშალა,
ცას ხმელეთი შეუერთა,
არე-მარე ამოძრავდა,
გაფითრდა და, თითქო, შეკრთა.

დილის სიოვ, მეც მომნახე,
დამამპკურე მკერდზედ ნამი,
ჩემთვისაც ხომ უნდა დადგეს
სანატრელი დრო და ჟამი!..

საოცნებო ხაზს გავლებულს
ხელ-ჩაჰიდვით მივდევ მარად;
სალი ჭკუა დიდებულს გზას
თვალით იცდის შეუმცდარად.

იქ ნისლ-ბურვით რომ გამოსჩანს,
მნათობია მოციმციმე,
მთას მიჰკვრია მგლოვიარე
და სულს უკლავს დარდი მძიმე.

იმის ნაცვლად სხივს ჩავეკვრი,
ჩემს გამომზრდელს ტურფა ლალას,
მგრძნობიარე მისი ცრემლი,
შთამომბერავს სულ სხვა ძალას.

დილის სიოვ, მაშინ მაინც
დამპკურე მკერდზე ნამი,
ჩემთვისაც ხომ უნდა დადგეს
დიდებული დრო და ჟამი!...

სოდ. გ—ძე

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ნ. დიასამიძე.